გ ა ნათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შესახებ

ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 8.06.2022-15.06.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი 15.07.2022

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211349192 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ინჟინერიის ბაკალავრი გარემოს ინჟინერიაში |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0712 - გარემოს დაცვის ტექნოლოგია |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული, MES 6 20 0000679098, 11/08/2020 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ვაჟა ტრაპაიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | კონსტანტინე ხაჭაპურიძე. სს „RMG Copper'' გარემოსდაცვითი მმართველი |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანთლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებით სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბუნებრივი საფრთხეების, მდგრადი გარემოსა და დაცვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია წელიწადსა და ექვს თვეში მონიტორინგით. ინსტუტუციამ დათქმულ ვადაში წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია.

საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა „ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვა“ მოიცავს 240 კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით ბაკალავრიატისთვის განსაზღვრული კომპეტენციები და დასაქმების ბაზრის მოთხოვნები. ბაკალავრის მომზადება მიმდინარეობს სავალდებულო და თავისუფალი კომპონენტებით განსაზღვრული კრედიტების მეშვეობით.

საქართველოს მთიანი ტერიტორიიდან გამომდინარე პროგრამა აქტუალურია და მისი განხორციელება მნიშვნელოვანია. უზრუნველყოფს მიზნების შესაბამისად სწავლის შედეგების მიღწევას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ვიზიტი არ განხორცილებულა, მონიტორინგი განხორციელდა მხოლოდ მხოლოდ ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ძირითადი ყურადღება გამახვილდა საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე, სულ გაცემულია 7 რეკომენდაცია

1. გადაიხედოს და დაკორექტირდეს პროგრამის მიზნები და შედეგები;
2.გადაიხედოს „საქართველოს ისტორიის“ სილაბუსის თემატიკა და დაემატოს საქართველოში მიმდინარე მოვლენები 90-იანი წლების ბოლოდან დღემდე.
3. გადაიხედოს „კულტუროლოგიის“ სილაბუსი და გაიმიჯნოს ამავე უნივესრიტეტის სხვა ფაკულტეტის საგნისგან ,,კულტურა და თანამედროვეობა’’;
4. სილაბუსში „ნიადაგმცოდნეობის საფუძვლების“ შეფასების ერთ-ერთ კომპონენტად პრაქტიკული ცოდნის მიღების კუთხით მიზანშეწონილია სასემინარო მუშაობის ლაბორატორიული მუშაობით შეცვალა;
5. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციდან და მიზნებიდან გამომდინარე დაემატოს ძირითადი საგანი, რომელიც მოიცავს გარემოზე ზემოქმედების (გზშ) ანგარიშს, სკოპინგისა და სკრინინგის პროცედურებს, მათ შორის საჯარო განხილვის პროცედურას და სტრატეგიული განვითარების (სგშ) გამოყენების პრინციპებსა და ძირითად ეტაპებს, აღნიშნული საკითხის ელემენტები წარმოდგენილია საგნით „გარემოს შეფასება ეკოლოგიური ექსპერტიზა და აუდიტი“, მაგრამ აღნიშნული საგნის სილაბუსი საჭიროებს მოდიფიცირებას. როგორც ლიტერატურის, ისე სალექციო საკითხების კუთხით;
6. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციდან და მიზნებიდან გამომდინარე დაემატოს ძირითადი საგანი „საინჟინრო გეოლოგია“, აღნიშნული კურსის ფარგლებში შესასწავლი საკითხები რამოდენიმე სხვა საგანშია წარმოდგენილი, მაგრამ მიზანშეწონილია მისი ერთ საგნად გაერთიანება;
7. საგანი „მთის ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და რაციონალური გამოყენების მენეჯმენტი“ არჩევითი კომპონენტიდან გადავიდეს სავალდებულო კომპონენტში ასევე მოხდეს სალექციო თემატიკის გადახალისება.

ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი მასალების საფძველზე რეკომენდაციები სრულად შესრულებულია.

) საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა შემოწმდა მოქმედი რეგულაციების შესაბამისად ჯგუფის მიერ შეფასებულია პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტის პირველი კომპონენტი. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა/ადამიანური რესურსი - შესაბმისობაშია მოთხოვნებთან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გაეცნო რა დასკვნის პროექტს იგი სრულად იზიარებს და ეთანხმება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფისმიერ I, II, IV სტანდარტების ფარგლებში დაფიქსირებულ შეფასებას.

- რეკომენდაციები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად ინსტიტუციას მიეცა რეკომენდაცია რომ *<u>გადახედილიყო და დაკორექტირებულიყო პროგრამის მიზნები და შედეგები</u>*. აღნიშნული რეკომენდაცია გამოითქვა საბჭოს წევრის მიერ, რდაგან მისი პროგრამის მიზანში მეტწილად მითითებულია შედეგები და ყურადღება არ არის გამახვილებული უშუალოდ პროგრამის მიზნებზე. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია გადაიხედოს პროგრამის მიზნები და მოხდეს მათი დაზუსტება.<br>წარმოდგენილი მასალების მიხედვით პროგრამის მიზნები დაკორეტირდა და შემდგენაირად ჩამოყალიბდა:<br>მოამზადოს შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი, მთიანი გარემოს ინფრასტრუქტურის დაცვისათვის თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია მთის დინამიკურად ცვალებად პირობებში ორიენტაცია, წინასწარ გატარებული პრევენციული ღონისძიებების საფუძველზე გარემოს დაცვითი საინჟინრო ღონისძიებების გატარება, მთაში ბუნებრივი რისკ-ფაქტორების პროგნოზირება; თოვლისა და ზვავის გამომწვევი მიზეზების დადგენა; მთის ქანების წყლისმიერი ეროზიული პროცესებისაგან დაცვა; მთის მდინარეებზე კალაპოტური პროცესების რეგულირება და ნაპირდამცავი საინჟინრო ნაგებობების მოწყობა. ორიენტირებული თანამედროვე შრომითი ბაზრის მოთხოვნებზე.<br>ასევე დაკორექტირდა და უფრო ნათლად ჩამოყალიბდა პროგრამის შედეგები რაც გამოიხატება შესაძლებლობაში რომ, სტუდენტმა გამოიმუშაოს თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები მთაში წარმოქმნილ სტიქიური მოვლენების წარმოქმნასა და ზემოქმედებასთან მიმართებაში.<br>თუ გავითვალიწინებთ იმ გარეომოებას რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ნახევარზე მეტი მთიანია და იქ უფრო მეტად არის დამახასიათებელი სტიქიური პროცესები, შესაბამისად, ამ დარგის სპეციალისტის მომზადება რომელსაც ექნება ამ კონკრეტული საკითხების თეორიული და პარქტიკული ცოდნა ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარებისათვის,<br>პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია. შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მისიას და სტრატეგიას და ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>- საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები<br>- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდი |

| |
|---|
| რეკომენდაციები:<br><br>o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>აღნიშნულ სტნდარტთან მიმართებაში რეკომენდაციები არ გაცემულა. სტანდარტი შეფასდა ჯგუფის მიერ არაგეგმური მონიტორინგის ფარგლებში. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება დონეს და მოქმედ რეგულაციებს.<br><br>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება კერძოდ კურსადამთავრებული:<br>- განიხილავს გარემოს მდგრადობისა და დაცვის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს და აუცილებელ გასატარებელ პრევენციულ ღონისძიებებს;<br>- განსაზღვრავს ბუნებრივი საფრთხეების გამომწვევ მიზეზებს ; ახდენს გარემოს მდგრადობის შეფასებასა და ანალიზს; |

- იყენებს მთის ინფრასტრუქტურის დაცვისათვის მიღებულ ცოდნას; ატარებს გარემოს მდგრადობის დაცვისათვის საჭირო სპეციფიკურ ღონისძიებებს
- ასაბუთებს, გარემოს მდგრადობისათვის გასატარებელი ღონისძიებების აუცილებლობას;
- იყენებს მთის ინფრასტრუქტურის დაცვისათვის არსებულ საინჟინრო მათემატიკური მოდელირების მეთოდებს; თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს; ინფორმაციულ ტექნოლოგიებს;
- განსაზღვრავს მთაში გარემოს მდგრადობის ფაქტორებს; ეკორისკებისაგან დაცვისათვის გასატარებელ პრევენციულ ღონისძიებებს;
- გეგმავს პროფესიული კარიერის სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების აუცილებლობას; - სწავლის შედეგების მრავალმხრივ თანამიმდევრულ ეტაპობრივ შეფასებას; ამტკიცებს საინჟინრო პროფესიული ქცევის ღირებულებებს: პუნქტუალობას, ობიექტურობას, ორგანიზებულობასა და კეთილსინდისიერებისაკენ სწრაფვას, პროფესიისადმი პატივისცემას;

სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს; სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას.პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>ბუნებრივი საფრთხეების, მდგრადი გარემოსა და დაცვის პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას იგი სამართლიანი, და საჯაროა. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც მომავალი სტუდენტებისათვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირთათვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ გვერდის მეშვეობით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>- საგანმანათლებლო პროგრამა;<br>- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდი |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |

| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
|---|
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| შეფასება<br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:<br>- <u>*პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციდან და მიზნებიდან გამომდინარე დაემატოს ძირითადი საგანი, რომელიც მოიცავს გარემოზე ზემოქმედების (გზშ) ანგარიშს, სკოპინგისა და სკრინინგის პროცედურებს, მათ შორის საჯარო განხილვის პროცედურას და სტრატეგიული განვითარების (სგშ) გამოყენების პრინციპებსა და ძირითად ეტაპებს, აღნიშნული საკითხის ელემენტები წარმოდგენილია საგნით „გარემოს შეფასება ეკოლოგიური ექსპერტიზა და აუდიტი“, მაგრამ აღნიშნული საგნის სილაბუსი საჭიროებს მოდიფიცირებას. როგორც ლიტერატურის, ისე სალექციო საკითხების კუთხით;*</u><br>პროგრამას დამატებული აქვს სავალდებულო საგანი „გარემოს შეფასება“, 5 ESTS კრედიტის მოცულობით, ფაქტიურად განხორციელდა საგნის „გარემოს შეფასება ეკოლოგიური ექსპერტიზა და აუდიტი“-ს მოდიფიცირება, როგორც ლიტერატურის ისე სალექციო საკითხების კუთხით. საგანი შეასაწვლის სტუდენტებს საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი სანებართვო სისტემას, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსს, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, სკოპინგისა და სკრინინგის პროცედურებს, მათ შორის საჯარო განხილვის პროცედურას და სტრატეგიული განვითარების (სგშ) გამოყენების პრინციპებსა და ძირითად ეტაპებს, გარემოს მონიტორინგს და სხვა. აღნიშნული საგნის მოდიფიცირებით აკრედიტაციის საპჭოს რეკომენდაცია შესრულებულია. |

- *პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციდან და მიზნებიდან გამომდინარე დაემატოს ძირითადი საგანი „საინჟინრო გეოლოგია“, აღნიშნული კურსის ფარგლებში შესასწავლი საკითხები რამოდენიმე სხვა საგანშია წარმოდგენილი, მაგრამ მიზანშეწონილია მისი ერთ საგნად გაერთიანება;*

პროგრამას დამატებული აქვს სავალდებულო საგანი „შესავალი საინჟინრო გეოლოგიაში“, 5 ESTS კრედიტის მოცულობით. აღნიშნული საგანი შესაწვლის სტუდენტებს თანამედროვე გეოლოგიურ პროცესებს, საინჟინრო - გეოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენებას და სხვა. აღნიშნული საგნის სწავლება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სწავლის შედეგბის გაუმჯობესებას.

- *საგანი „მთის ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და რაციონალური გამოყენების მენეჯმენტი“ არჩევითი კომპონენტიდან გადავიდეს სავალდებულო კომპონენტში ასევე მოხდეს სალექციო თემატიკის გადახალისება.*

აღნიშნული საგანი არჩევითი კომპონენტიდან გადავიდა სავალდებულო კომპონენტში, შეიცვალა სახელწოდება და ეწოდა „მთის ბიომრავალფეროვენების მდგრადი გამოყენება' შესაბამისად მოხდა სალექციო თემების გადახლისება და გამდიდრდა საქართველოს მთიანი ზონის ეკოსისტემების მდგრადი გამოყენებისათვის საჭირო თემატიკით

აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება სრულად უზრუნველყოს პროგრამის მიზნების და ძირითადი კვალიფიკაციისთვის საჭირო სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის აღმწერის შესაბამისი დონით.

პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურია და ძირითად ნაწილში უზრუნველყოფს სწავლის შედგების მიღწევას, კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ამ სტანდართან მიმართებაში აკრედიტაციის საბჭოს მიერ განისაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- *გადაიხედოს „საქართველოს ისტორიის“ სილაბუსის თემატიკა და დაემატოს საქართველოში მიმდინარე მოვლენები 90-იანი წლების ბოლოდან დღემდე.*

სილაბუსში დამატებულია შესაბამის თემატიკა რომელიც ასახავს 90 წლების ბოლოდან დღემდე მიმდინარე მოვლენებს, კერძოდ საქართველოს ინტეგრაცის საერთაშორისო სტრუქტურებში, 2008 წლის ომს და სხვა.

- *გადაიხედოს „კულტუროლოგიის“ სილაბუსი და გაიმიჯნოს ამავე უნივესრიტეტის სხვა ფაკულტეტის საგნისგან „კულტურა და თანამედროვეობა''*

ამ შემთხვევაში პირველად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო არჩევითი საგნის „კულტურა და თანამედროვეობა“ სილაბუსი. საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მოთხოვნით დამატებით წარმოადგინა სილაბუსი „კულტურა და თანამედროვეობა“ და აღნიშნა რომ ეს სასწავლო კურსი არ ყოფილა „ბუნებრივი საფრთხეების, მდგრადი გარემოსა და დაცვის“ საბაკალავრო პროგრამის საგანთა ჩამონათვალში. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ამ პასუხს და ასევე აღნიშნავს რომ, წარმოდგენილი სილაბუსი „კულტურა და თანამედროვეობა“ და „კულტუროლოგია“ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეძლება ითქვას რომ ეს რეკომენდაცია შესრულებულია.

- *სილაბუსში „ნიადაგმცოდნეობის საფუძვლების“ შეფასების ერთ-ერთ კომპონენტად პრაქტიკული ცოდნის მიღების კუთხით მიზანშეწონილია სასემინარო მუშაობის ლაბორატორიული მუშაობით შეცვალა;*

რეკომენდაცია გათვალისწინებულია და სემინარული მუშაობა ჩანაცვლებულია ლაბორატორიული მუშაობით.

ზოგადად, სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია ბუნებრივი საფრთხეების, მდგრადი გარემოსა და დაცვის აქტუალურ საკითხებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში გათვალისწინებულია ზოგადი სასწავლო კურსები (სილაბუსები), რომლებიც შედგენილია იმგვარად, რომ სტუდენტს გაუადვილდეს დარგობრივი საგნების შესწავლა და წარმოადგენს სპეციალობის საგნებზე დაშვების წინაპირობებს.

ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგს, რაც დასტურდება კურიკულუმში წარმოდგენილი სწავლის შედეგების სქემაში მოცემული ინფორმაციით. ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება ბაკალავრიატის დონეს და მათგან გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგები, თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის

| |
|---|
| შედეგებს; |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>-საგანმანათლებლო პროგრამა<br>-სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები); |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. პროგრამაში გათალისწინებულია საველე პრაქტიკა, რომელსაც დათმობილი აქვს 10 კრედიტი, პრაქტიკის დროს სტუდენტი იმყოფება ობიექტზე და ეცნობა ადგილზე არსებულ რეალურ მდგომარეობას. სასწავლო პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევენ დარგის კვალიფიკაციური სპეციალისტები:<br>სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია ლაბორატორიული სამუშაოები, ჯგუფში მუშაობა და პრაქტიკული მეცადინეობები, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში ლაბორატორიული და პრაქტიკული უნარების განვითარებას. ასევე მნიშვნელოვანია |

| |
|---|
| საბაკალავრო ნაშრომის სავალდებულო შესრულება, რომელშიც გათვალისწინებულია დამოუკიდებელი კვლევის ელემენტები.<br>სტუ უზრუნველყოფს სტუდენტთა სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას ხელშეწყობას რაც კიდევ უფრო განავითარებს სამეცნიერო კვლევითი და ტრანსფერული უნარებს.<br>პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად; |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>- საგანმანათლებლო პროგრამა<br>- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);<br>- სტუ ვებ გვერდი |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>„ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვა პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას; |

| |
|---|
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენებით. როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მეცადინეობებით, აგრეთვე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის გზით. გამოყენებულია სწავლისა და სწავლების შემდეგი მეთოდები: ლექცია; სემინარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა, გონებრივი იერიში, ჯგუფური მუშაობა და სხვა. ზემოაღნიშნული მეთოდების რეალიზაციის მიზნით გამოყენებულია შემდეგი ხერხები: ზეპირი, წერითი, პრაქტიკულ-თეორიული დავალებები, ტესტები, პრეზენტაცია.<br>კურსის შინაარსიდან გამომდინარე სწავლა-სწავლების მეთოდებს კარგად ასახავს საგნის სპეციფიკას. მაგ. საგანი მთის მდინარეების ჰიდრომეტრიის საფუძვლები, სადაც აქცენტი გაკეთებულია ლექციასა, პრაქტიკულ სამუშაოზე, კონსულტაციასა და დამოუკიდებელ მუშაობაზე ან საგანი ბუნებრივი სტიქიური მოვლენების გენეზისი, სადაც აქცენტი გაკეთებულია ლექციას, სემინარს, კონსულტაციასა და დამოუკიდებელ მუშაობაზე. ყველა სავალდებულო დარგობრივი სპეციალობის საგანში სწორადა შერჩეული სწავლისა და სწავლების მეთოდები და მათ მისაღწევად გამოყენებულია ხერხები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>- საგანმანათლებლო პროგრამა<br>- სასწავლო კურსები (სილაბუსები); |
